საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-10/26

ქ. ბათუმი 19 თებერვალი, 2019 წ.

ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების წამყვანი სპეციალისტისა (ბიბლიოთეკარის) და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერია) წამყვანი სპეციალისტის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ემუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" *ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 25 ოქტომბრის N01-11/77 ბრძანების,* ,,ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების წამყვანი სპეციალისტის (ბიბლიოთეკარის) შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 01 თებერვლის N01-10/17 ბრძანებისა და ,,ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ " ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 01 თებერვლის N01-10/18 ბრძანების, ,,ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების წამყვანი სპეციალისტისა (ბიბლიოთეკარის) და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 12 თებერვლის N01-10/22 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 01 თებერვლის N01-10/17 და N01-10/18 ბრძანებებით გამოცხადებული ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების განყოფილების წამყვანი სპეციალისტისა (ბიბლიოთეკარის) და საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

*ა) **ჯემალ ანანიძე** - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კომისიის თავმჯდომარე);*

*ბ) **გურამ გვარიშვილი** - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);*

*გ) **გოჩა მამუჯაძე** - ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერია) უფროსი;*

*დ) **მარიამ მამულაძე** - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;*

*ე) **ლაშა დევაძე** - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (კომისიის მდივანი).*

2. *საკონკურსო კომისიას* დაევალოს 2019 წლის 01 თებერვლის N01-10/17 და N01-10/18 ბრძანებებით დადგენილი ვადების შესაბამისად ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებისა და წინამდებარე ბრძანების აღსრულება.

3. კონკურსანტთა კომპიუტერული უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით საკონკურსო კომისიის სხდომაზე მოწვეული იქნეს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ზვიად ბერაძე.

4. წინამდებარე ბრძანების აღსრულებისას ბსუ-ს პერსონალისა და საკონკურსო კომისიის წევრების მიერ უზრუნველყოფილი იქნეს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისაგან დაცვა.

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**